კვარტალური მაკროეკონომიკური მიმოხილვა*

კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 14.4%-ით გაიზარდა.
- წლიური ინფლაცია 13.2%-ს გაუტოლდა.
- ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 0.4%-ით გამყარდა, ხოლო 2021 წლის I კვარტალთან შედარებით - 6.4%-ით.
- ნაერთი ბიუჯეტის დადებითმა მთლიანმა სალდომ 38.8 მლნ ლარი შეადგინა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს

1. რეალური სექტორი

2022 წლის I კვარტალში, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 14.4% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის I კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის მიერ შეფასებულ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 1.6%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი უარყოფითი -1.7% იყო.

აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის მიერ 2022 წლის თებერვალში გაკეთებული პირველი კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება შეადგენდა 9.3[1]%-ს, რომელიც ითვალისწინებდა კოვიდ პანდემიის ომიკრონის შტამით გართულებულ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას ქვეყანაში, აგრეთვე რუსეთ-უკრაინას შორის მოსალოდნელი საომარი მდგომარეობის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე. თუმცა, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით დაფიქსირდა მოსალოდნელზე უკეთესი ეკონომიკური ზრდა. მიუხედავად მეზობელ ქვეყნებში არსებული საომარი მდგომარეობისა, ქვეყანაში პირველი კვარტლის განმავლობაში არ შეფერხებულა ეკონომიკური საქმიანობა. ამავდროულად, 2022 წლის I კვარტალში დაფიქსირდა საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების, ასევე გზავნილების და საგარეო ვაჭრობის ზრდა.





2021 წლის IV* კვარტალში, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ექსპორტის და მოხმარების ზრდას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2021 წლის IV კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი ექსპორტის (9.0%) და მოხმარების (7.2%) კომპონენტებით იქნა განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე ინვესტიციებს (-5.3%) და იმპორტს (-2.2%) ჰქონდა.

[1] www.pbo.parliament.ge

ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[2] ზრდის ტემპმა 7.5% შეადგინა. 2021 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 10.6%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება.

რეალური მშპ-ის ტრენდი



სამომხმარებლო ფასების ინფლაცია
(წინა წლის შესაბამის პერიოდთან)



2022 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია ზრდის ტენდენციას ავლენს.

2022 წლის I კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 13.2% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. 2022 წლის I კვარტალში ინფლაციის დონის ფორმირებაზე გავლენა იქონია ძირითადად სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერგიაზე, აირზე, აგრეთვე სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

[2] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

2. ფისკალური სექტორი



2022 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 33.5%-ით გაიზარდა და 4,508.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების შეძენამ 13.1%-ით მოიმატა და 4,541.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 701.8 მლნ ლარით გაიზარდა და შეადგინა 683.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო გაიზარდა 627.1 მლნ ლარით და შეადგინა 38.8 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო იყო უარყოფითი (ბიუჯეტის დეფიციტი) და შეადგენდა 588.3 მლნ ლარს.

2022 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 38.4%-ით გაიზარდა და 4,091 მლნ ლარით განისაზღვრა.

2022 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 49.7%-ით გაიზარდა და 2,138 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 27.8%-ით მოიმატა და 1,953 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი შემცირდა 20.3%-ით და შეადგინა 147 მლნ ლარი, ხოლო სხვა შემოსავლებმა მოიმატა 14.2%-ით და შეადგინა 271 მლნ ლარი.





2022 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები ზრდის ტენდენციას ავლენს.

2022 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 3,825 მლნ ლარს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12.6%-ით მეტია. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 716 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემზე 15.6%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 26.6%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც შეადგინა 510 მლნ ლარი. შრომის ანაზღაურებაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე ხარჯების ბრდამ შესაბამისად შეადგინა 8.5% და 3.9%, ხოლო ნომინალურ ვამოსახულებაში 529 მლნ ლარი და 1,572 მლნ ლარი. დანარჩენმა ხარჯებმა (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა მომსახურება) მოიმატა 22.3%-ით და შეადგინა 1,214 მლნ ლარი.



2022 წლის I კვარტალის ბოლოს – 31 მარტის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 31,265 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2.9%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

2022 წლის I კვარტალის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 80.2%-ს შეადგენს (2021 წლის I კვარტალის ბოლოს - 81.4%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 19.8%-ს (2021 წლის I კვარტალის ბოლოს - 18.6%).



3. საგარეო სექტორი



2021 წლის IV* კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2021 წლის IV კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 531.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5.9%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე (-564.5 მლნ აშშ დოლარი). მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -9.6%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლითა და მომსახურებით სავაჭრო ბალანსსა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტების დადებითი სალდო. აღსანიშნავია, რომ მოგზაურთა მომსახურება, არსებული პრობლემების გათვალისწინებით, 2021 წლის I კვარტალში 87.5%-ით შემცირდა. თუმცა მნიშვნელოვნად დადებითი დინამიკა შეინიშნება II-IV კვარტლებში. 2021 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 790%-ით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.



2021 წლის IV* კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პორტფელის და სხვა ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 341 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 6.2%), რაც 284.3%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხება პორტფელის, სხვა ინვესტიციებისა და ფინანსური წარმოებულების ოდენობას, 2021 წლის მეოთხე კვარტალში მათი ჯამური ოდენობა 434.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 16.7%-ით ნაკლებია.





2022 წლის I კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,031 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2022 წლის I კვარტალის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 4,031 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.7%-ით ნაკლებია. 2021 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ 333 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. 2022 წლის იანვარ-მარტში კი სებ-მა 40 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



2022 წლის I კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

2022 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტი 43.3%-ით გაიზარდა და 1,172 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 35.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 2,693 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საყურადღებოა, რომ საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.2%-დან უმნიშვნელოდ 30.3%-მდე გაიზარდა. ამასთან, 2022 წლის I კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობი, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი, აგრეთვე, აზოტოვანი სასუქები.





2022 წლის I კვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის I კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 576,503 შეადგინა, რაც 328%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც I კვარტალში 517,296 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 297.3%).

2022 წლის I კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 393.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 635.3%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



2022 წლის I კვარტალში თებერვალში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის I კვარტალში ფულადი გზავნილები 9.2%-ით გაიზარდა. 2022 წლის I კვარტალში გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 43.8%), რუსეთი (13.1%) და აშშ (12.3%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ-დან (9.3%), ისრაელიდან (7.7%), საფრანგეთიდან (28.8%), ესპანეთიდან (10.1%), პოლონეთიდან (27.7%), ყახაზეთიდან (340.3%-ით), ყირგიზეთიდან (212.7%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (72.2%-ით), ირლანდიიდან (26.0%-ით) და გერმანიიდან (46.6%-ით).



4. მონეტარული სექტორი

2022 წლის I კვარტალში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა 10.5% შეადგინა.

2020 წლის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.0%-ს შეადგენდა, II კვარტლიდან კი ეტაპობრივი შემცირება დაიწყო და 2020 წლის ბოლოს 8.0%-ით განისაზღვრა. 8.0% შენარჩუნდა 2021 წლის იანვარ-თებერვალშიც, მარტიდან კი ინფლაციური ზეწოლის შერბილების მიზნით, მიზანშეწონილი გახდა მონეტარული პოლიტიკის თანდათანობით გამკაცრება და განაკვეთი 8.5%-მდე გაიზარდა. აპრილში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით განაკვეთი 9.5%-მდე, ხოლო აგვისტოში 10%–მდე გაიზარდა და აღნიშულ დონეზე შენარჩუნდა ნოემბრის ჩათვლით. დეკემბრის თვეში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაიზარდა 10.5%-მდე. 10.5% შენარჩუნდა 2022 წლის იანვარ - თებერვალშიც, ხოლო 30 მარტს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განაკვეთის კვლავ 0.5 პპ-ით 11%-მდე გაზრდის თაობაზე.





2022 წლის I კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 12.8%-ს შეადგენს.

2022 წლის I კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.7%-ული პუნქტით გაიზარდა და 12.8%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 16.5% შეადგინა (0.7%-ული პუნქტით მეტი), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 6.5% (0.3%-ული პუნქტით მეტი).

2022 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გამყარდა.

2022 წლის I კვარტალში ლარის კურსი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ, წინა კვარტალთან შედარებით 0.4%-ით გამყარდა, ხოლო 2021 წლის I კვარტალთან მიმართებით - 6.4%-ით. 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, ლარი ასევე გამყარდა ევროსთან (14.4%-ით), თურქულ ლირასთან (101.6%), აზერბაიჯანულ მანათთან (6.3%-ით), რუსულ რუბლთან (22.6%) და უკრაინულ გრივნასთან (9.8%-ით), ხოლო გაუფასურდა სომხურ დრამთან (0.9%-ით) მიმართებაში.





2022 წლის I კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 11%-ით მოიმატა, წინა კვარტალთან შედარებით კი - 4.7%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (52.2%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემული სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი 24.4% გაცემულია მრეწველობის დარგში, 18.7% ვაჭრობის, 15.0% მშენებლობის, 10.6% სასტუმროებისა და რესტორნების და 2.9% ფინანსური შუამავლობის დარგში.



2022 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

2020 წლის I კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა როგორც დეპოზიტებზე (64.8%), ასევე სესხებზე (58.6%). 2020 წლის ბოლოსთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა ორივე მაჩვენებელზე, თუმცა 2021 წლის I კვარტალში დეპოზიტების დოლარიზაციის კვლავ მაღალი მაჩვენებელი 64.5% დაფიქსირდა. რაც შეეხება მიმდინარე წელს, 2022 წლის I კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე 0.4%-ული პუნქტით შემცირდა და 58.2% შეადგინა, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით შემცირდა და 50.1% შეადგინა. 2021 წლის I კვარტალთან შედარებით დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე 6.4%-ით, ხოლო სესხებზე 4.9%-ით შემცირდა.



5. სოციალური სფერო



2022 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი გაიზარდა.

2022 წლის I კვარტალის ბოლოს - მარტი - საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 211 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 32.9 ლარით მეტია. რაც შეეხება 2022 წლის I კვარტლის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით გაზრდილია 17.2%-ით.

2022 წლის I კვარტალში, წინა წლის I კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე და განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა.

2022 წლის I კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 432.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 15.5%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეულმა დანახარჯებმა 543.3 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.2%-ით მეტი.





2021 წლის IV* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.

2021 წლის IV კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 693.4 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8.1%-ით მეტია. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, 2021 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,597.8 ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 180.8 ლარით მეტი.